№ 218

1877—1894

პარასკევი, 14 ოკტომბერი 1894

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

№ 218

პარასკევი, 14 ოკტომბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ამა ოქტომბრის 1? რიცხვიდგან, ყოველდღე, დილის 9 საათზედ, ექსარხოსის წმ. ჯვარის ეკკლესიაში მისის მაღალყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის მიერ პარაკლისი მისის იმპერატორების უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის განკურნების სავედრებლად. (3—უ.—1)

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

12 ოქტომბერი, საღამოს 8 საათი

**ქუთაისი.** დაიწვა ახალი თეატრი გამრეკელისა და მესხისა. თეატრის ავეჯეულობა ერთიანად დაიღუპა, რომელიც დაზღვეული არ იყო, ზარალი 11 ათასი მანეთია. თითონ შენობა ქალაქისა დაზღვეულია.

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი 12 ოქტომბერს დილის 10 საათზედ: წუხელის ხელმწიფე იმპერატორს რამდენსამე საათს ეძინა, თვლემა აღარ ეტყობა, მადა აქვს.

12 ოკტომბერი

**პეტერბურგი**. დაწვრილებული ცნობები მემკვიდრე ცესარევიჩის უმაღლესის საცოლოს მოსვლის შესახებ: პრინცესა ალისა პირველს საათზედ მივიდა ალუშტას; 10 წამის წინად მოვიდა მემკვიდრე ცესარევიჩი. სახლი, რომელშიაც საუზმე იყო მომზადებული, შემკული იყო ბაირაღებით; ქუჩის კარებამდე გაშლილი იყო ხალიჩა. ცესარევიჩი ქუჩის კარებთან დაუხვდა პრინცესა ალისას; საქმრო და საცოლე ერთმანერთს გულ-მხურვალედ მიესალმნენ. საუზმის შემდეგ, ორს საათზედ, წაბრძანდნენ ლამბატის სადგურისაკენ; აქ სახლები ბაირაღებით იყო მორთული; უკანასკნელ სადგურ აი-დონილო ან მატარებელს დაუხვდნენ ყირიმის გუბერნატორი ლაზარევი და თავად-აზნაურობის წინამძღოლი ოლივი, რომელთაც უავგუსტოესს სტუმართ თაიგულები მიართვეს. სადღესასწაულო კამარად-შეკრული კარი, ბაირაღები, ვარდით მოფენილი გზა, გროვა ქალების და ადგილობრივ მცხოვრებ თათრების გროვა მშვენიერს სურათს წარმოადგენდა. ყველა სადგურზედ უმაღლესს საძლოს თათრებმა პურ-მარილი მიართვეს.

დიდი მთავრინა ალექსანდრა იოსების ასულთან ერთად ლივადიაში მოსულმა დეკანოზმა იოანნე სერგიევმა სასახლის ეკკლესიაში გარდაიხადა წირვა და პარაკლისი და აგრედვე ლივადიის დიდს ტაძარში—ხელმწიფე იმპერატორის განკურნების სავედრებელი პარაკლისი.

**პეტერბურგი**. 13 ოქტომბერს. ბიულეტენი 12 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ: დღისით ხელმწიფე იმპერატორს ძილი არ ერეოდა, მადა და თვით-მგრძნობელობა უკეთესი ჰქონდა, ფეხის სიმსივნემ ცოტა უმატა. კვირას, 9 ოქტომბერს, ხელმწიფემ წმ. საიდუმლო მიიღო.

# ახალი ამბავი

*** ფინანსთა სამინისტროში კარგა ხანია განზრახული იყო წევრთა საზოგადო კრებანი ერთობ შჩნკისა სხვა ახალ კანონებს დაუმორჩილონ და ამის თაობაზე, როგორც ამბობენ, უკვე განაჩენად მიუღიათ „წარმომადგენელთა კრება“ მიღებულ იქმნას ნაცვლად „წევრთა კრებისა“. ეხლა პეტერბურგიდამ იუწყებიან, რომ სამინისტროში უკვე მზადდება პროექტი ამ ახალ კანონებისა და დამტკიცების შემდეგ ყველა ბანკებს სახელმძღვანელოდ მიეცემაო. რადგანაც შესაძლოა, რომ ამ ზოგად კანონების შედგენის დროს არ იყოს მიღებულ სახეში განსაკუთრებული ხასიათი და მიმართულება ჩვენის სათავად-აზნაურო ბანკისა და ამის გამო ეგ კანონები ვერ მოუხდეს ჩვენის ბანკის მოთხოვნილებას და განსხვავებულს გარემოებას, შეერთებული კრება ზედამხედველ კამიტეტისა და გარემოებისა შესდგომია ამ საგნის გამორკვევას შესაფერად აქაურ საჭიროებისა და თვით პროექტის შედგენასაც იმ აზრით, რომ განსაკუთრებული ხასიათი და მიმართულება ჩვენის ბანკისა საკმაო სავსებით სახეში მიღებულ იქმნას და საკმაო სავსებით დაცულ. ხსენებულმა შეერთებულმა კრებამ ამისათვის ამოირჩია ცალკე კამისია (თავადი პ. გრუზინსკი, ალ. კობიაშვილი და ილია ჭავჭავაძე) და ამ კომისიას მიანდო როგორც გამორკვევა საგნისა, აგრედვე პროექტის შედგენაცა შეერთებულ კრებაში წარსადგენად და განსაკითხად.

*** ტფილისის გუბერნატორი თავადი შარვაშიძე გუშინ დილით ბორჯომს წავიდა.

*** გუშინ ტფილისიდგან ახალქალაქს წავიდა იუსტიციის მინისტრის ამხანაგი გასამიჯნავ ნაწილის გამგე გორემიკინი, რომელიც იქიდგან ქუთაისს წავა.

***, 12 ოქტომბერს, კავკასიის ოლქის მზრუნველი იანოვსკი ოლქის ორის ინსპექტორებითურთ წავიდა თურქესტანში და იმიერკასპიის მხარეს სასწავლებლების სარევიზიოდ.

*** ქალაქის გამგეობას უნდოდა ამ თვის ნახევრიდგან ძროხის ხორცზე ნიხრის დაკლება. მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგანაც ამ ჟამად ამიერ კავკასიაში საქონლის ჭირის გაჩენისა გამო, ტფილისში ცოტა საქონელს რეკავენ გასასყიდად და ამიტომ ძვირადაც ფასობს სხვილ ფეხა საქონელი. ამისა გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა თვის ბოლომდე დასტოვოს ის ნიხრი, რომელიც აქამდე იყო ე. ი. გირვანქა 7 კაპ.

*** საქალაქო სასწავლებლებისათვის საბჭოს მიერ ამორჩეულ კომისიის კრება გუშინ არ შესდგა და ამიტომ ეს კრება დანიშნულია შაბათს 15 ოქტომბერს.

*** საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრებაა დანიშნული ორშაბათს, 17 ოქტომბერს საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კრებამ უნდა განიხილოს: მიმდინარე საქმენი და მოისმინოს მოხსენებანი ექიმთა ა. პ. არტემიევისა და ი. ზ. ლორის-მელიქოვისა.

*** ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო თამამშოვის ქარვასლის განათებისა ელექტრონით და აგრედვე ელექტრონის ფარნის დადგმისა ერევნის მოედანზედ.

# ფელეტონი

## „ის“

(ნათარგმნი სურათი)

ღამის სიბნელეს ედუარდის სამუშაო ოთახი უკვე მოეცვა. კარგის თვალების პატრონიც ვერ გაარჩევდა ედუარდს საწერ სტოლთან, სასავარძელში, ფანჯარასთან, მჯდომარეს. მარტო ამ ფანჯარიდგან შემოდიოდა ცოტაოდენი სინათლე. ხმაურობა, დრო გამოშვებით, შორის ოთახებიდგან ისმოდა: ხან ქალის სიცილი, ხან როიალის ხმა და ხან გაურკვეველი ხმაურობა. ყოველივე ეს სულ არ შეეფერებოდა ედუარდის გუნებას.

ზამთარი იყო. საშინელი ჩრდილოეთის ქარი ზუზუნებდა: ხან ვის მიუკაკუნებდა კარებს და ხან ვის, თითქო სახლში შეშვებას სთხოვსო.

თვალებ-დ ხუჭული და გულხელდაკრებილი ედუარდი გადაიჭიმა სავარძელში და თითქმის სრული საათი ჩუმად იყო, ხმა ამოუღებლივ. ეს არცა ჰფიქრობდა და არც ესმოდა რამე, ისე იყო გარინდებული.

ეს ის წუთი იყო ედუარდის მდგმოიარებისა, როდესაც იგი შორდებოდა ყველას და ყველასათვის მიუკარებელი ხდებოდა. მიუკარებელი იყო, ემილიასათვისაც-კი, რომლისთვის ერთ დროს თავს არ დაჰზოგავდა; ქმრის ასეთი ხასიათი ემილიას სრულიადაც არ აწუხებდა, ეს თავისებურად აიწევდა ხოლმე თავისს პატარა მხრებს და ჩვეულებრივს სიამოვნებას ეძლეოდა.

— შენ თუ არა გნებავს, ეტყოდა ხოლმე ქმარს, შეგიძლიან სრულიადაც არ გამობრძანდე შენის ოთახიდგან; სტუმრებს-კი უშენოდაც კარგად გავატარებინებ დროს.

მართლა მშვენიერად ატარებინებდა დროს სტუმრებს; თითონაც ერთობოდა და იმათაც ართობდა. ემილია მხიარული მარტო თავისას-კი არა, ყველგან იყო.

უმასპინძლობას ჩქარა შეეჩვივნენ ემილიას სტუმრები. ემილია თავისის ქვრივის დით—ტერეზიათი ისეთ დროს ატარებინებდა ხოლმე სტუმრებს, რომ მასპინძლის არ-ყოფნას ვერავინ ამჩნევდა.

ყმაწვილს ქალს დიდი საზოგადოება არ უყვარდა, რაც შეეხებოდა პატარა წრეს, ასეთი წრე მალ-მალე იკრიბებოდა ხოლმე იმისას. ღამის ორ-სამს საათამდე, ისმოდა ხოლმე იმის სასტუმროში: სიცილი, მღერა, მუსიკა და სტუმრების მოურიდებელი ლაპარაკი; ამათ ნათქვამი ჰქონდათ, რომ არას მოჰრიდებოდნენ და ისე ყოფილიყვნენ, როგორც თავიანთ სახლში.

— ედუარდი რა ხანია დაწვა, ეტყოდა ხოლმე კაი ნაცნობებს ემილია. ჩემს ქმარს შაკიკი სჭირს და ამიტომ წვება ხოლმე ადრე, ეუბნებოდა ახლად მოსულებს, რომლებსაც უმასპინძლობა ძალიან ეხამუშებოდათ თვალში და ჯერ ამ სახლის წესი არ შეეტყოთ. შაკიკი მხოლოდ ლაპარაკის მასალა იყო, ყველას ხომ იმ წუთს არ აუწყებდა, რომ ჩემი ქმარი ბუზღუნა და უდროოდ დაბერებული კაციაო.

— რა საჭირო იყო გათხოვება! ეტყოდა ხოლმე ემილიას იმის ქვრივი და—ტერეზა. ჩვენ-კი გვეგონა, რომ მაგის ხელში ბედნიერი იქნებოდი... რაღა აკლია მაგ უბედურს... სულ მუდამ უკმაყოფილო, სულ მუდამ ბუზღუნა და გაბუებულია!.. ეცხოვრა თავისს პირველ ცოლთან და ისევ ის ეწვალებინა!.. არა! შენი შერთვა მოინდომა სიყვარულით და პირველს ცოლს თავი შენის გულისათვის დაანება. ქალები თავისს დღეში არ უნდა ენდვნენ ქმრებს!

ემილია-კი მხრებს აიწევდა და სიცილით ეტყოდა ხოლმე: რაც ჰნებავდეს ის ჩაიდინოს, მე ეგ სრულიადაც არას მიშლის. ვცდილობდი არ დამერღვია ჩვენი ერთად ცხოვრება, ვერ მოვახერხე და ეხლა მე ჩემთვის და ის თავისთვის... ჩემთვის ეს ათასწილად სჯობიან და თუ ეხლაც უკმაყოფილოა, aqui la faute? რა ჩემი საქმეა. მე ეგ არასოდეს არა მყვარებია თუმცა მითხოვებას-კი დავპირდი, თუ პირველს ცოლს გაეყრებოდა.

— მაგრამ ჩემი ქმრობა საშინლად მოუნდა, ხშირად ამბობდა ხოლმე ემილია, —დედაკაცურის გულ-გრილობით. მოინდომა და აი შეასრულა კიდეც. მაგისი ცოლი ვარ... მეტი რაღა უნდა?..

ემილიას ვერ გაეგო, თუ არ ვიცი, გაგება არ უნდოდა, ამას ედუარდისათვის ცოლობაზედ მეტი მეგობრობა უნდა გაეწია... ნუ თუ შესაძლებელი იყო არ ყოფილიყო იმ კაცის ერთგული ცოლი, ვისაც იმის გულისათვის, თავი დაენებებინა და უარეყო პატიოსანი, ნამუსიანი და მოსიყვარულე ახალგაზდა ქალი!? ნუ თუ არ უნდა ყოფილიყო ერთგული იმ კაცისა, რომელმაც უარჰყო თავისი ცოლი, ცოლი, რომელიც მზად იყო მსხვერპლად შეეწირა იმისთვის თავისი თავი?!. ედუარდს ეჩვენა, რომ ანგელოზის მსგავსის ცოლის ყოლა არ შეადგენდა ბედნიერებას, ეხამუშებოდა ცოლის მოვალეობის ერთგულად აღმსრულებელი ადამიანი და საყვარელი ენატრებოდა.

იმას ის უნდოდა, რომ ცოლ-ქმრობას რაღაც განსაკუთრებითი ზღაპრული ხასიათი ჰქონოდა.

შეხვდა მეორე ქალს, რომელიც ვერ იცნო, რომელიც სრულიად არ იყო იმის განმახორციელებელი რაც ედუარდს ისე სწყუროდა.

ემილია თავით ბოლომდე განმსჭვალული იყო თავმოყვარეობით.

დიდად შესცდა ედუარდი, თავისს ცხოვრების განწირებას რომ შეუდგა. მან იქამდის ვერ იცნო თავისს მეორე ცოლი, ვიდრე დახუჭული თვალები არ აეხილა. იცნო, მაგრამ გვიან-ღა იყო.

*** 12 სექტემბერს გათავდა ეგზამენები საზალოსნო სკოლაში. სწავლა დაამთავრა 13 ყმაწვილმა, რომელთა შორის 5 ქართველია, 1 ბერძენი, 1 გერმანელი და 6 სომეხი. ქართველები არიან: ვ. ჯაფარიძე, ი. გულისაშვილი, ა. მაყაშვილი, გ. ფიცხელაური და ა. თუშმალიშვილი. ორნი ამათგანნი—მაყაშვილი და ფიცხელაური — ყირიმის მეღვინეობის სასწავლებელში მიდიან სწავლის განსაგრძობად.

*** დღეს, 14 ოქტომბერს, ტყეთა დამცველი კომიტეტი განაგრძობს სხდომას (პირველი 10 ოქტომბერს ჰქონდათ). ამ სხდომაზედ განხილული იქმნება საკითხავი იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც აუცილებლად უნდა მოახდინონ ტყეთა დაცვის შესახებ გამოცემულ 1888 წ. კანონში. ეს სხდომა მოხდება ტფილისის გუბერნატორის თავადი შარვაშიძის თავმჯდომარეობით, მონაწილეობას მიიღებენ ტყეთა დამცველ კომიტეტისაგან მოწვეულნი მემამულენი და ისინი, რომელთაც შესწავლილი აქვთ ჩვენის ქვეყნის სატყეო მეურნეობის ვითარება და საჭიროება. მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ისინი, ვისაც კერძო აზრი შეუტანია კომიტეტში ამა თუ იმ ცვლილების შესახებ, რომელთა შემოღება საჭიროდ მიაჩნიათ ხსენებულის წლის კანონში შესატანად.

*** ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ამ თვის 12 დღის განმავლობაში ტფილისში 6 კაცი გამხდარა ავად ხოლერითა და ხოლერის მზგავსი ავადმყოფობით. 11 ოქტომბერს ხოლერით ავად გამხდარან: მარიამ იოსების ასული ფარსადანოვისა, 45 წლისა (9 ნაწილი, სახლი ალელოვისა, № 8) და სერგი ილარიონის ძე შაპოშნიკოვი, 45 წლისა (8 ნაწილი, დესიმონოვის მოედანი, სახლი რემეზოვისა, № 21) ორივე ავადმყოფი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. ორშაბათს, 10 ოქტომბერს, ხოლერით გარდაცვლილა თევდორე გიორგის ძე შარშიაშვილი (8 ნაწილი, დესიმონოვის ქუჩა, სახლი აკოპჯანოვისა). 8 ოქტომბერს ავად გახდა და 10 ოქტომბერს გარდაიცვალა ხოლერით იაგორ სალამატინი (8 ნაწილი, რიყის ქუჩა, სახლი თაიროვისა). 7 ოქტომბერს ხოლერის მზგავსი ავადმყოფობით ავად გახდა ნიკო გლახუას ძე დავლიანიძე (8 ნაწილი, პანასევიჩის ქუჩა № 36).

*** 12 ოქტომბერს გამბრინიუსის ბაღში იპოვნეს ათის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშს ბარათი აღმოაჩნდა, რომელშიაც ეწერა: 2 ოქტომბერს დაიბადა, მოუნათლავია. კარგის დედის შვილია და კეთილშობილთა შთამომავალი. გთხოვთ და გემუდარებით, რომ უპატრონოთ და აღზარდოთ.

*** 13 ოქტომბერს ტფილისის მცხოვრებელმა სტეფანე კარაპეტოვმა ჯარის კაცს პროკოფია ხახლოვს ჯიბიდამ 3 მან. და 65 კ. ამოაცალა. დამნაშავე შეიპყრეს.

*** ამავე დღეს წყლის საზიდ ქუჩაზე სერგეევის სახლში მცხოვრებელმა ნიკიტა ქეფინოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ სამზარაულოდამ 12 მან. ნივთეული მომპარესო.

*** 12 ოქტომბერს ალი-ბაი-ოღლი მტკვარში ცხენს წყალს ალევინებდა, პოვოსკა გადაბრუნდა და ცხენიანად დაირჩო.

*** ამავე დღეს ლორისმელიქოვის ქუჩაზე დავით გლახარიას მაღაზიაში ნადვორნი სოვეტნიკის ქალს ვიქტორია მარჯანიძეს ქისით ერთი მანეთი დარჩა. ეს ქისა და ფული ელისაბედ სპარიშევისამ მოიპარა, მაგრამ ქალი შეიპყრეს და ფული უკანვე წაართვეს.

*** 12 ოქტომბერს იარმუკაში სერგეი ოჰანეზოვს დუქანში 20 გირვანქა გაფუჭებული თევზი უპოვნეს და გადუყარეს. დამნაშავე პასუხის გებაში მისცეს.

---

ხმა დადის, რომ საერო განათლების მინისტრმა ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ რუსეთის სოფლებსა და ქალაქებს ძველებური რუსული სახელები დაერქვათ. ეს გარემოება იმან გამოიწვია, რომ სამხრეთ-დასავლეთსა და ჩრდილო დასავლეთს მხარეში დაბა სოფლების სახელები იქ მცხოვრებმა პოლონელებმა თავისებურად გადანათლესო. ვილენის გუბერნიის ერთს საერო სასწავლებელში, ერთგვარს რუკასა ჰხმარობენ თურმე (ილინის სარუკო ქარხანის შედგენილია), რომელზედაც ზოგიერთ დაბა-სოფლის სახელს პოლონური დაბოლოვებით აქვთ სახელი. მაგალითად: „მიხაილოვშჩიზნა“, „აკიმოვშჩიზნა“, „ბუდლავ“ და სხვ. მაშინ როდესაც, როგორც ძველის სიგელებიდგან სჩანს, ამ სოფლებს წმინდა რუსული სახელი ჰრქმევიათ: „მიხაილოვო“, „იაკიმოვო“, „ბუდსლავენ“ და სხ. ამ ჟამად ცნობებს ჰკრებს სამინისტრო ყველა ამ გვარად გადანათლულ სოფლის შესახებ.

## წერილი ოზურგეთიდგან

ოზურგეთის დედათა სამოქალაქო სასწავლებელი. — იმისი წინამსვლელობა წარსულ წლებში და აწინდელი უკუღმართობა.—დაარსება დედათა სამრევლო სასწავლებლისა.—კრება სამღვდელოებისა დედათა სამრევლო სასწავლებლის ორ კლასიანად გადაკეთების საშუალების აღმოსაჩენად. — განაჩენი კრებისა.

ცამეტი წელიწადია, რაც ოზურგეთელებმა დედათა სასწავლებელი დაიარსეს. პირველად, თუმცა იგი ერთ-კლასიანი იყო, მაგრამ ყველასაგან დიდი თანაგრძნობა დაიმსახურა. ოზურგეთელებმა ისე შეიყვარეს ეს სასწავლებელი, რომ იმის წარმატებისათვის ზრუნვას ყველა თავისს საკუთარ მოვალეობადა სთვლიდა. მუდმივ გარდასახადის გარდა, რომელიც სასწავლებლის შესანახად იკისრა ყოველმა ქალაქის მკვიდრმა, კერძო შემწეობასაც ბევრს აძლევდნენ, თუ ლატარიისა და თუ წარმოდგენების გამართვით. ამის წყალობით ეს სასწავლებელი მალე ორ-კლასიანად გადაკეთდა და თანდათან წარმატებაში მიდიოდა. სასურველი და თვალ-საჩინო წინმსვლელობა დაეტყო ამ სკოლას ქ-ნ ჭიჭინაძის მასწავლებლობის დროს. მაგრამ მუხთალმა ბედმა მალე გვიმტყუნა. წარსულს წელს ჭიჭინაძის ასულმა თავი დაანება მასწავლებლობას და მას შემდეგ სასწავლებელი უკან-უკან წავიდა. ამისი ნამდვილი მიზეზი ალლაჰმა უწყის, მხოლოდ ჩვენ ის ვიცით, რომ ქ-ნ ჭიჭინაძის შემდეგ ჩვენს სასწავლებელში მასწავლებლად გამოგვიგზავნეს უცხონი, რომელთაც ჩვენის ბავშვებისა არა ესმოდათ-რა და ბავშვებსაც იმათი არა გაეგებოდათ-რა.

ამ გარემოებამ ორივეს ავნო: მასწავლებლებიც დაიტანჯნენ და ბავშვებიც გამოყრუვდნენ. ბევრს ამის მნახველს მშობელს გული სწყდებოდა, მაგრამ რა უნდა ექნათ? კერძო თხოვნით ვერას გახდებოდნენ და ისევ სასწავლებლის მზრუნველთ მიჰმართეს: „გვიშველეთ რამე, გვიშუამდგომლეთ, რომ ერთი ქართულის ენის მცოდნე მასწავლებელი გამოგვიგზავნონო“. მაგრამ მზრუნველები ვერას გახდნენ, ანუ მართალი რომ ვსთქვათ, წაიყრუეს. ამას შემდეგ ზოგმა მშობლებმა თავისი შვილები უკანვე გამოიყვანეს სკოლიდგან, თუმცა მეტად სწუხდნენ, დაგვირჩა შვილები უსწავლელნიო, მაგრამ მათ მწუხარებას მალე მალამო დაედო. იმავე წლის ნოემბრის თვეში ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის, ბ-ნ ტატიშვილის მეცადინეობით დაარსებულ იქმნა ერთ-კლასიანი დედათა სამრევლო სასწავლებელი და მასწავლებლად მოწვეულ იქმნა ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში კურს დამთავრებული თ. თოთიბაძის ქალი. ამ სკოლამ დაარსებისთანავე საზოგადოების თანაგრძნობა გამოიწვია და მოსწავლენიც საკმაოდ მიიზიდა. მიზეზი ის გახლდათ, რომ მასწავლებელს ქალს მკვიდრთა ენა კარგად ესმოდა და, მაშასადამე, მოსწავლეთაც გასაგებად აუხსნიდა ყოველივეს. საზოგადოების თანაგრძნობა და იმედი ამ სკოლამ გაამართლა კიდეც წლიურ გამოცდის დროს. პატარა მოსწავლენი მშვენივრად იძლეოდნენ პასუხს. ეტყობოდათ, რაც-კი მასწავლებელმა აუხსნა, ყველა შეესისხლ-ხორცებინათ, შეეთვისებინათ. წერა-კითხვაშიც კარგად იყვნენ გავარჯიშებულნი, ასე რომ გამომცდელნიცა და მაყურებელნიც მეტად კმაყოფილნი დარჩნენ მასწავლებლისა.

მართალია, დღეს ყველა მადლიერია ამ სამრევლო სასწავლებლისა, მაგრამ თუ არ გაორკლასიანდა იგი, ვერ აკმაყოფილებს გურიის მკვიდრთ. ამის გამო დამაარსებელმა ტატიშვილმა, რომელიც თავმჯდომარეა გურია-სამეგრელო საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს განყოფილებისა, დაავალა გურიის ბლაღოჩინებს: მოახდინეთ სამღვდელოების კრება ცალკ-ცალკე საბლაღოჩინოებში და მოილაპარაკეთ, რომ ოზურგეთის დედათა სამრევლო სასწავლებლის გასაორკლასიანებლად რაიმე წყარო აღმოუჩინონო. სამწუხაროდ, ბლაღოჩინებისაგან ამ კეთილ და სასარგებლო საქმის შესახებ ჯერჯერობით არავითარი პასუხი არ მოსულა. მხოლოდ ოზურგეთის ბლაღოჩინმა მ. ა. თოხაძემ მიაქცია ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება და სექტემბრის 16-ს შეკრიბა სამღვდელოება. განუმარტა რა დიდად საჭიროა მათ შვილთათვის ორ-კლასიანი დედათა სასწავლებელი და სთხოვა—ამ კეთილ საქმისთვის არ დაიშურონ და დრამის ფულიდგან გარდასდონ ორ-ორი პროცენტი. თუმცა ჩვენს სამღვდელოებას დრამის ფულებიდგან ისეც ცოტა რჩება თავისთვის, მაგრამ მაინც მ. ბლაღოჩინს სრული თანხმობა და თანაგრძნობა გამოუცხადეს. მ. ბლაღოჩინმა სამღვდელოებას თანაგრძნობისთვის მადლობა მოახსენა და თან დასძინა: რადგან მარტო ერთს საბლაღოჩინოში დრამის ფულით შეგროვილი ორ-ორი პროცენტი დიდს ვერას შეადგენს და ვერც სკოლის საბჭოს გაუძღვება, მგონია სჯობდეს, რომ სხვა წყაროც მოვუძებნოთ ამ სასწავლებელს: 1) ქართულს ენაზედ არ მოიპოვება მღვდელთათვის სახელმძღვანელო წიგნი, რომელშიაც სრულად და გასაგებად მოთავსებული იყოს ყველა წესი და რიგი წირვა და ლოცვისა (დიდი მარხვისა და დღესასწაულებისა), რის გამოც ბევრი ჩვენი მღვდელი დიდს გაჭირვებაშია ჩავარდნილი და წესიერად ვერ ასრულებს წირვა-ლოცვას. ამიტომ კომიტეტი დაარსდეს მცოდნე მღვდელთაგან, და დაევალოს შედგენა წიგნებისა და დასტამბვა; ხოლო კრებამ იშუამდგომლოს მის ყოვლად უსამღვდელო-

---

ამის შემდეგ საკვირველი ცხოვრება დაიწყო ედუარდმა: გაგულგრილდა, თითქმის კვდებოდა და რაღაც ზიზღით დაუწყო ყურება თავისს მეორე ცოლს. ამათ მარტო ერთმანეთისაგან ვრცელს მანძილზედ მყოფი ოთახები-კი არ აშორებდა, ანაწილებდა ის შეცდომა, რომელსაც მათ შორის თვალ-ჩაუწვდენელი უფსკრული მოეთხარა.

ედუარდს მოაგონდა „ის“, სხვა. თავისს უნებურად შეადარებდა ხოლმე იმ ორის ქალის ხასიათს, რომლებთანაც ბედმა შეჰყარა ცხოვრების გზაზედ.

ნემეზიდა ცოლ-ქმრობისა ნელ-ნელა შურის-ძიებას უმზადებდა მოუფიქრებელს ქმარს.

მსხვერპლმა რომელიც ორმა თავმოყვარეობამ შეიწირა, შეუბრალებლად დატოვებულმა, მწარედ შეურაცყოფილმა გაიმარჯვა ედუარდის გულსა და სინიდისში. რამდენადაც უფრო მეტს ჰფიქრობდა მეორე ცოლის ყოფა-ქცევის შესახებ იმდენად უფრო ნათლად ეხატებოდა მშვიდი, ანგელოზის მზგავსი ამალია-პირველი ცოლი. იმისი ყოფა-ქცევა, იმისი მშვენიერი თვალები, რომელიც ნაღვლიანის ალერსით მისჩერებოდნენ. იმის თვალებში სიყვარულს-კი არა, ნაღველს კითხულობდა ედუარდი.

ედუარდი მიეჩვია კიდეც ამ აზრს. ემილიას-კი ფიქრადაც არ მოსვლია, რომ იმისი უდიდესი მტერი, რომელიც სპობდა იმათს უკანასკნელს კავშირს, მშვიდი, უჩინარი, მაგრამ დაუშრეტელი აზრი იყო, რომელიც უჩუჩუნებდა, ედუარდს სულსა და გულში უძვრებოდა.

—განა ეგ იმისაგან შესაძლებელიაო? იმას ვუყვარდი, ის მორჩილი იყო, იმან ყველაფერი შემომწირა, შემომწირა სიცოცხლე, ბედნიერება და ქალის თავ-მოყვარეობა. მორჩილად, მშვიდად, უყვედრებლად უარ ჰყო ყველაფერი, რადგანაც არ უნდოდა წინ გადამღობებოდა. ჩამომეცალა, რადგანაც უკვე დარწმუნდა, რომ აღარ მიყვარდა...

როგორც წყევლა, ყოველ წუთს, ყოველ ალაგს, სულსა და გულში მხოლოდ ერთი სიტყვა ჩაესმოდა: ის, ის, ის და ის...

ამ დროს ედუარდი სულ მთლად შეიცვალა. ეს ცვლილება პირველ შეხედულობით თითქო საკვირველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, თუ კარგად ჩაუკვირდებოდით საქმეს, იტყოდით, რომ ეს ესეც უნდა მომხდარიყო უეჭველადაო. ედუარდი ჰგრძნობდა თავისს შეცდომას და ეს უფრო აწონებდა ხასიათს პირველის ცოლისას. ამ ფიქრისა და თავისის საქმის ჩხრეკა-ძიების დროს ყოველთვის თავისს თავს ამტყუნებდა და ლანძღავდა ამ საქმის ჩადენისათვის. ფიქრმა თავისს დანაშაულობისამ, დაკარგულ ბედნიერებისამ და ამასთან ყოფნამ იმ ქალთან, რომელსაც მისცა ფიცი ერთგულებისა და სიყვარულისა, რამდენიმე წლის განმავლობაში სულ მთლად გამოსცვალა ედუარდი.

მთელს საღამოებს ატარებდა ედუარდი ამ რიგად თავისს სახლში, რომელსაც ერიდებოდა კიდეც. იმისათვის არა ფიქრობდნენ, იმისთვის არასა ზრუნავდნენ.

ედუარდმა კარგად იცოდა, რომ ცოლს ის არ ესიამოვნებოდა, რომ ის თავისუფლად სარგებლობდა ცხოვრებით და არაფერს არ ერიდებოდა. იცოდა ისიც-კი, რომ იმას მოქიშპე ჰყავდა, მაგრამ აღარა ჰქონდა ძალი და ღონე შური ეძია.

— ის-კი არავის არ შეიყვარებსო, ამბობდა ედუარდი მწარე ღიმილით: მაგრამ ყველაფერმა ფასი დაჰკარგა იმისთვის, როდესაც დარწმუნდა, რომ იმისი ოქრო თითბერი იყო.

ხმაურობამ, რომელიც კედლის იქით განისმოდა, ედუარდი ფიქრებისაგან გამოარკვია. მხიარულობა იყო. ისმოდა როიალის ხმა. ვიღაცა მაღლის ხმით „ფაუსტ“-ის ოპერიდგან ფრანგულის კილოთი ზოგიერთს ადგილებსა ჰმღეროდა.

ედუარდი ადგა, აანთო სანთელი, თმა დაივარცხნა, თავისი დათვის ტყავიანი ქურქი ჩაიცვა, დიდი ზამთრის ქუდი დაიხურა და ოთახიდგან გავიდა.

გასვლის უმალვე შემოჰკრა ცივმა ჩრდილოეთის ქარმა. კარგა გაეხვია თავისს ქურქში და მორიდებით, სიფრთხილით გასწია ერთ მოშორებულ ქუჩისაკენ.

შესდგა ერთს ორ-სართულიან სახლის წინ. აიღო თავი და დაღვრემილის სახით დაიწყო პირველ სართულის ფანჯრებისაკენ ცქერა, საიდგანაც სინათლე კაშკაშით გამოდიოდა.

ქუჩა ცარიელი იყო. ედუარდმა ალაყაფის კარებისაკენ გასწია, მაგრამ უეცრად შესდგა და უკან გამობრუნდა.

პირველი არ იყო ედუარდის ამგვარი ხეტიალი და ფანჯარებში ცქერა. ამ სახლში სულ მუდამ, ყველა ფანჯრები, ნაპირას გარდა, ნათელი იყო. ნაპირაში-კი მხოლოდ შუაღამის დროს გამოჩნდებოდა ხოლმე მკრთალი სინათლე.

ვიღაც ათევდა ღამეს, ის კი არავინ იცოდა, ოცნებაში იყო გართული, თუ საქმეში. ედუარდი ხშირად ჰხედავდა ფარდაზედ თავ დახრილი ქალის ჩრდილს.

გულის ფანცქალით შესცქეროდა ამ ჩრდილს ედუარდი, თითქოს იმისი თვალები იმ ფანჯრებისათვის მიეჭედნათ. ხან-და-ხან ამ ჩრდილთან გამოჩნდებოდა სხვა ჩრდილიც. პატარა, მარდის ყმაწვილის თავი, პატარა ჩრდილი ხან მიუახლოვდებოდა დიდს, ხან განშორდებოდა, ხან შეუერთდებოდა და ხან სულ მთლად მიიმალებოდა, ხან ნათლად გამოიხატებოდა გაწეწილის თმებით; დიდი ჩრდილი ჩიტისავით ეალერსებოდა პატარას, მისნი ბაგენი ხან საკოცნელად და ხან გასაღიმებლად გაიპობოდა ხოლმე.

ედუარდი მთელ საათობით უყურებდა ხოლმე ამ ორს ჩრდილს. დიაღ, ესენი იყვნენ ჩრდილნი იმ ბედნიერებისა, რომელიც მან უარ ჰყო... იგი აქ ფარულად მოდიოდა, რომ შორიდგან მაინც დამტკბარიყო

ესობის, გურია სამეგრელოს ეპისკოპოზის გრიგოლის წინაშე, რათა ყველა ეკკლესიები ვალდებულ გახადოს—შეიძინონ ხსენებული წიგნები და შემოსავალი აქედგან გარდაიხადოს ოზურგეთის დედათა სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. 2) ვინაიდგან უმეტესობამ ჩვენის სამღვდელოებისამ არ იცის კანონიერად და რიგიანად შედგენა სხვა-და-სხვა მოწმობისა, ამიტომ დასტამბოს ბლანკები, დაურიგდეს მთელის გურიის სამღვდელოებას, ამ ით მოწმობაში აიღონ ხოლმე თითო აბაზი და ეს შემოსავალიც ხსენებულის სკოლის სასარგებლოდ გადაიდოს. იმედია, ეპისკოპოსი ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს ამას, მით უმეტესს, რომ თვითვე ჰსურს ზემოხსენებული სასწავლებელი გააუმჯობესოს, და როგორც გავიგე, განზრახვა აქვს: ორასი თუმანი შესწიროს“.

კრება სიამოვნებით დასთანხმდა მ. ბლაღოჩინის წინადადებას და თან თავისს მხრივაც ერთი წყარო დაასახელა: ოზურგეთის მომრიგებელ სასამართლოში მოწმების დასაფიცებლად იწვევენ ადგილობრივს მღვდელს სასყიდლით, ყოველ წლივ ორთაშუა რიცხვით სამოც თუმნამდე ფული იკრიბება. რადგან ხსენებულს მღვდელს ისეც ბევრი შემოსავალი და ჯამაგირი აქვს, ვსთხოვთ, რომ წელიწადში ოცი თუმანი დაუთმოს სასწავლებელს და თუ ის მღვდელი არ ინებებს ამას, იმის ნაცვლად მოწმობის დამფიცებლად დანიშნულ იქმნას ის, ვინც ამ პირობაზედ თანხმობას გამოაცხადებს. როგორც ხედავთ, ამ კრებამ მშვენიერი მაგალითი უჩვენა სხვა გურიის საბლაღოჩინოს მღვდლებს. ეხლა იმედია ისინიც მიჰბაძავენ ამ კრების მაგალითს და ამ სასწავლებლის სასარგებლოდ არას დაიშურებენ.

x.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთმა «Gaulois»-მა ხმა გაავრცელა, რომ გერმანიის იმპერატორი 1900 წელს გამოფენაზედ უნდა მოვიდეს პარიზშიო, ამ ხმის გამო „Echo be Paris“-ი შეეკითხა ზოგიერთს საფრანგეთის მოღვაწეს, როგორ უნდა დაუხვდნენ ფრანგები გერმანიის იმპერატორს, თუ მართლა იმპერატორმა თავისს განზრახვა აასრულაო. ჟულ სიმონს შემდეგი პასუხი მიუცია:

საფრანგეთი ამართავს საერთაშორისო გამოფენას და, მაშასადამე, მთელს ქვეყანას იწვევს სტუმრადაო. ამიტომაც საფრანგეთი მოვალეა გულდიად დაუხვდეს ყველას, ისე, როგორც საფრანგეთის ღირსებას შეეფერება. უცხო-ქვეყნელნი სტუმარნი თუ მოდიან ჩვენთან, ამათი ყურადღებას გვაქცევენ და ჩვენც მოვალენი ვართ თავაზიანად მოვექცეთ. მე არასოდეს არ დამავიწყდება ის ამბავი, რომ ბერლინის კონგრესის დროს იმპერატორი ვილჰელმი ჩვენს დელეგატებს დიდად მოწყალედ დაუხვდა. არ დამავიწყდება ისიც რომ, მანვე, ისე დიდ-სულოვანად და გულწრფელად განათავისუფლა ორი ჩვენი მემამულე კარნოს გვამის დაკრძალვის დროს. მე წევრი ვარ მშვიდობიანობის საზოგადოებისა და ამას შეეწირე არამც თუ ჩემი სახელი, არამედ გულიც, და ამ წოდებას ჩემსას არასოდეს არ ვღალატობ, არც დიდს საქმესა და არც პატარა საქმეში.

გენერალ რუიმ (პარლამენტის დეპუტატმა):

თუ ვითარცა ჯარის-კაცს მეკითხებით, იმ ჯარის კაცს, რომელსაც 1870 წლის თავს ზარ-დამცემ ომის დამსწრე ყოფილა, და ბრძოლის ველზედ თავისს მეგობრებს გამოსალმებია, მაშინ უნდა გამოგიტყდეთ, რომ გერმანიის იმპერატორის ჩვენს ბულვარზედ დანახვისათანავე უეჭველად ფერი მეცვლება და გულის კანკალი დამემართება. ხოლო თუ ისე მეკითხავთ, ვითარცა პარლამენტის წევრს, უნდა მოგახსენოთ, რომ საფრანგეთის პატიოსნებამ და გულუხვ მასპინძლობამ ამ შემთხვევაში არ უნდა უმტყუნოს თავისს გზას და ღირსებით აღასრულოს ეს მასპინძლობა თავისს სახელის შესაფერად.

ერთმანეთს შეუდაროთ ეს ორი პასუხი და მაშინ თქვენვე მიხვდებით, როგორ იმოქმედა მაგ ამბავმა ჩემზედ.

პოლ დერულედს თავისი აზრი არ განუცხადებია, მხოლოდ ჟურნალისთვის რჩევა მიუცია, წაიკითხეთ ჩემი მამულიშვილური ლექსები და მიმიხვდებით, რა აზრისაც ვარ, იმპერატორის განზრახვის შესახებაო. დრიუმანმა ის აზრი გამოსთქვა, რომ პარიზელები იმპერატორს სტვენით მიეგებებიანო, ხოლო ქ-ნმა ადანმა გამოაცხადა:

ფრაზებით პასუხის მოგებას საჭიროდ არა ვსთვლი. თუ გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე 1900 წლის გამოფენაზედ მოვიდა, და იმ დროს ელზას-ლორენი ისევ გერმანელების ხელში იქნება, მაშინ მე პარიზელებს ხმა-მაღლა მხდალებს ვუწოდებ. ნუ თუ იმ დროს ერთი ქალი მაინც არ აღმოჩნდება, რომ პარიზის მტრებისაგან გარს შემორტყმა ახსოვდეს, და ან ერთი დაჲ არ აღმოუჩნდება ელზას-ლორენის ქალებს.

ფრეისინემ, ზოლამა და ლოდემ უარი სთქვეს თურმე, ჩვენს აზრს ვერ გამოვაცხადებთო.

ფლურანსმა:

„როგორც გაზეთიდგანა სჩანს, გერმანიის იმპერატორს ასე უთქვამს: მე კარგად ვიცი ფრანგების ხასიათი, და თუ ვამბობ თქვენს გამოფენას დავესწრები-მეთქი, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე, რომ წამოსვლა შემეძლოს. მაგრამ ნამდვილად-კი რა განზრახვა აქვს იმპერატორს და ან რა უნდა მოიქმედოს ისეთი, რომ პარიზელები უთუოდ კარგად დაუხვდნენ, ეს არ ვიცით. ვიდრე პასუხს მოგცემდეთ, საჭიროა ეს გარემოება გამოირკვეს.

ესე იგი მდაბიურად რომ ვსთქვათ, გვაცოდინოს, რითი აპირებს გერმანიის იმპერატორი ჩვენის გულის მოგებას და ელზას-ლორენს გვიბრუნებს, თუ არაო?!

## სამეცნიერო ნაწილი

### ყვავილის უებარი წამალი.

ადამიანის სილამაზესა ჰყავდა და ჰყავს ერთი საშინელი მტერი, რომელსაც ბევრი ვაჟი, ბევრი მშვენიერი ქალი დაუმახინჯებია, სამუდამოდ წაურთმევია სილამაზე, ღვთისა და ბუნებისაგან მინიჭებული, ბედნიერის და ტკბილი ცხოვრების ნაცვლად წილად ურგუნებია მწარე და უბედური არსებობა. ეს მტერი არის ყვავილი. აცრამ შეამცირა რიცხვი ამ ავადმყოფობის მსხვერპლებისა; მაგრამ ძალა და მავნებლობა მაინც სრულიად ვერ წაართვა. ეხლაც ბევრჯელ სიმშვენიერეს სიმახინჯედ აქცევს ხოლმე, ვარდისფერს ლოყებს შავ ფიქრებად სცვლის; არც სიცოცხლის წართმევაა მისგნით იშვიათი. მით უმეტესი სიხარული ჰმართებს საზოგადოებას იმ ამბის გამო, რომ წარსულის წლის ბოლოს ევროპის ექიმებმა აღმოაჩინეს უებარი წამალი ყვავილისა. მაგრამ არა, წამალი კი არა, ღონისძიება. წამალს ექიმი უნდა, რეცეპტი, აფთიაქი; აქ კი არც ერთი, ეს ხარჯის მიმცემი ხათაბალა, საჭირო არ არის.

აი რაში მდგომარეობს ეს ღონისძიება: უკანასკნელს წლებში ევროპის ექიმები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მზის შუქი ცუდად ჰმოქმედობს კაცის კანზედ, და როცა ეს კანი შეპყრობილია რაიმე ავადმყოფობით, მაშინ ხომ მზის სინათლე ნამდვილი შხამია მისთვის და უძნელებს ყოველს გვარს ბუსუსსა და მუწუკსა. დანიის დოქტორმა ფინზენმა იხელმძღვანელა ამ საზოგადო აზრით, ყურადღებაში მიიღო ის მოვლენაც, რომ ყვავილი ძლიერ აჩნდება, აჩოფურავებს პირისახესა და ხელებსა, რომელთაც მზე ადგიათ, და ტანისამოსით დაფარულს ტანზედ-კი კვალს თითქმის ვერა სტოვებს, აგრეთვე ათხოვა ყურადღება იმასაც, რომ წითელი ნაწილი მზის შუქისა, მეცნიერთა გამოკვლევით, აღმოჩნდა იმდენად ცხოველ-მყოფელ ელემენტად, ძალად, რომ ყოველ გვარი სიცოცხლე დედა მიწის ზურგზედ იმისაგან არის თურმე დამოკიდებული და იგი რომ მზის შუქიდგან გაქრეს, ორგანიული არსებობა, სიცოცხლე მოკლე ხნის განმავლობაში სულ მთლად მოისპობა ჩვენს პლანეტაზედ—და მივიდა იმ დასკვნამდის, რომ წითელს ნათელში ყოფნა ყვავილით შეპყრობილი ადამიანისთვის დიდად სასარგებლო უნდა იყოსო. ამ დასკვნის თანახმად მან ურჩია ექიმებს: ყვავილით ავადმყოფნი ამყოფეთ განუწყვეტლივ მუქ-წითელ შუქიან ოთახში, ფანჯრები დაჩრდილეთ მუქ წითელის ფარდებით, კარებებსაც ამისთანა ფარდები ჩამოაფარეთ, ღამე სანთლის მაგივრად წითელი ფარანი დაანთეთ ოთახში, დღისით ფანჯრებს სრულიად ნუ გაალებთ, რათა მზის ნათელი არ მიადგეს ავადმყოფსაო, ცოტახნობითაც-კი ჰაერის გასაწმენდად ფანჯრები მხოლოდ ღამით გააღეთ ხოლმე, ერთის სიტყვით ავადმყოფს სრულიად ნუ მიაკარებთ თეთრს შუქსა ნურც მზისას, ნურც სანთლისას, ნურც ცეცხლისას და განუწყვეტლივ ამყოფეთ მუქ-წითელს სინათლეშიო.

სცადეს ეს ღონისძიება დანიაში, ნორვეგიაში, შვეციაში, საფრანგეთში და იგი ყველგან შეუდარებელ, უებარ ღონისძიებათ აღმოჩნდა. თუ ავადმყოფი მოექცეოდა წითელ-შუქიან ოთახში მოსარჩენად იმ დროს, როდესაც ყვავილი ახლად იწყებდა აქა-იქა ამოსვლას, გამოყრა მუწუკებისა სხვა ადგილებში მაშინვე შესწყდებოდა, წინად ამოსულ მუწუკების ზრდა შეჩერდებოდა, სწრაფად იწყებდნენ დაპატარავებას, გახმობას, მოკლე ხნის განმავლობაში გაჰქრებოდა ხოლმე და ავადმყოფი სულ ადვილად რჩებოდა. თუ ამ ღონისძიების ხმარებას მაშინ იწყებდნენ, როდესაც მთელი ტანი დაფენილი იყო ახლად გამოყრილის მუწუკებით, მაგრამ ჯერ არ დაჩირქიანებულიყო, მაშინ აღარა ჩირქდებოდა, გამოყრილი ყვავილი ხმებოდა და ჰქრებოდა; სიცხე და ციება, რომელიც დაჩირქების დროს აუცილებელია, ავადმყოფს სრულიად არ გამოაჩნდებოდა. ბოლოს, თუ ავადმყოფს წითელს ოთახში მაშინ მიიყვანდნენ ხოლმე, როდესაც მთელი ტანი შეხორხლილი ჰქონდა დაჩირქებულის ყვავილითა და სიცხეც მიცემული, მაშინაც ადვილად რჩებოდა და ან სულ არ

---

იმ ბედნიერეით, რომელიც უარ ჰყო და რომლისაც ყოველი უფლება დაჰკარგა. უარ ჰყო იმიტომ, რომ არ ეგონა, თუ დანატრებოდა იმათი ნახვა, დანანდებოდა თავისი საქციელი.

აქა სცხოვრებდა „ის“, როდესღაც მისი ცოლი, ეხლა-კი მხოლოდ დ და მისის შვილისა, რომლის ნახვა წელიწადში ერთხელ შეეძლო, ისიც გაყრის პირობის დაწერის დღეს.

პირველად ისე ეგონა, რომ ერთი დღე წელიწადში სამყოფიაო.. მაშინ ედუარდი შთანთქმული იყო სულ-მთლად იმ ქალის სიყვარულით, რომელიც იმისთვის მთელს ქვეყანას შეადგენდა. ეხლა-კი ეს მხოლოდ თავისის ცხოვრების ნამცეცებით სტკბებოდა.

ათჯერ მაინც მიუახლოვდა და განშორდა ალაყაფის კარებს. ებრძოდა თავისს ფიქრს, რომელიც კარების მიახლოვებისათანავე სტოვებდა. რაღაცა განუსაზღვრავი აზრები ეწევოდა ამ სახლისაკენ. ჩუმად, ქურდულად შეიარა მან კიბე და ზარს დასწია. გული აჩქარებით უცემდა. სახე მკვდარსავით გაჰფითრებოდა, სული ეხუთებოდა და მთლად კანკალებდა.

დაკეტილ კარებიდგან ნაცნობი ხმა მოისმა:

— იუზა, გაუღე, უთუოდ ექიმია!

— ექიმს ელიან, მაშა სჩანს, ავად არის ვინმე... ფეხები აუკანკალდა და საშინელმა მოლოდინმა ყელში წაუჭირა. მოახლემ კარი გააღო. ედუარდმა შესვლის უმალვე გაიძრო ქურქი და ერთს წუთს უკან პატარა კოხტა სასტუმროში გაჩნდა. ყველაზედ წინად თვალი მოჰკრა ახალგაზდა, მაგრამ გამხდარ ქალს, რომლის სახეც ქარისაგან დამჭკნარს ვარდსა ჰგავდა. თუმცა დიდი ხანი იყო, რაც ამ ქალს ეს არ ენახნა, მაგრამ იმ წუთსავე იცნო. იცნო, თუმცა იმის გონებაში ედუარდი აღარ იყო, ის ედუარდი, რომელიც ეხლა, თითქოს სამარიდგან ამოსულიო, მის წინ იდგა. მან დიდი ხანია, რაც დაჰმარხა ედუარდი; დიდი ხანია, რაც ის, მისის აზრით, აღარ არსებობდა, მაგრამ გული მაინც ვერ დაიმორჩილა. ესენი გაქვავებულსავით იდგნენ ერთმანერთის წინ; მთელმა წარსულმა გაურბინა ორივეს თვალ-წინ და ისეთის საშინელს სისწრაფით რომ ორთავეს ისე ჩაუფუფუქა გული, თითქოს სახარას ქარს გაექროლოსო.

ვაჟკაცი დედა-კაცზედ სუსტი გამოდგა და სიტყვების მაგიერ ცრემლი ჩამოსკდა. ცრემლში გამოიხატა ის გრძნობა, რომლის სიტყვით გამოთქმას ვერა კაცი ვერ მოახერხებდა. სინიდისის ქენჯვნა, სინანული, საყვედური...

ედუარდს თვალებზედ ხელი მიეფარებინა, მიჰყუდებოდა კედელს და მაღალის ხმით სტიროდა. სტიროდა ისე, როგორც თავისს დღეში არ უტირნია. სტიროდა როგორც ბავშვი და არა ვაჟ-კაცი. „ისიც“ გაჩუმებული, გაფითრებული მამაკვდავისავით უცრემლოდ აჰყუდებოდა სტოლს და სცდილობდა მოეკუმა კბილები მაგრად, რომ არ აჰკაწკაწებოდა. იგი ნაღველითა, სიბრალულითა და განცვიფრებით მისჩერებოდა ქმარს.

— ვინ შეგატყობინათ მარიკოს ავადმყოფობა? ჰკითხა მცირეოდენ სიჩუმის შემდეგ, როდესაც გონს მოვიდა, თუმც ეს მცირეოდენი სიჩუმე მთელ საუკუნედ ეჩვენა.

ამ სიტყვებმა ედუარდი ააკანკალა და ტირილისაგან გაწითლებული თვალები მიაჩერა ცოლს. მართლაა ავად? ძლივს წამოილუღლუღა ედუარდმა: მე ეგ არ ვიცოდი...

— მეკი მეგონა...

— რა დაემართა?

— ანთება აქვს... ჰბოდავს... გუშინდლიდგან უკეთ შეიქმნა... მხოლოდ ეხლა გადმოსცვივდა ცრემლები, რომლის დამალვაც უნდოდა ამალიას; ღონე ნელ-ნელა სტოვებდა, წაიბარბაცა კიდეც, მაგრამ რაკი დაინახა, რომ ედუარდი მიშველებას უპირებდა, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და ედუარდის ხელის მოძრაობა გააჩერა.

— არაფერია...

ედუარდი მიჰხვდა იმის ხელის მოძრაობას და თავისის ადგილიდგან ფეხიც არ მოიცვალა.

— შებრძანდით, სთქვა ყმაწვილმა ქალმა და ამასთან ერთად ხელი გაუშვირა იმ ოთახის კარებისკენ, სადაც იმათი პატარა მარიკო იწვა. ედუარდმა მადლობა გადაუხადა თვალებით და მარტო შევიდა ოთახში.

საწოლზედ პატარა ქალი იწვა აწითლებულის ლოყებით და ნახევრად მილულულ თვალებით; ხელები გულზედ ელაგა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად სუნთქავდა.

ედუარდი დაიხარა, თვალ-ცრემლიანმა გამოართვა ხელი მარიკოს და ჩუმად ჩასძახა: „შვილო მარიკო, რა დაგემართა? შემომხედე, მამა მოვიდა და შენ სანახავად... ვერ იცნობ მამას?..

ავადმყოფმა ძლივს გაახილა თვალები და გამოუკრვევლად შეხედა, თითქო სცდილობდა გაეგო, რას მეუბნებიანო. არა უპასუხა-რა. ვერ იცნო მამა.

დედა სასტუმროს კარებში იდგა. მისი თვალები ხან შვილს მიაჩერდებოდა, ხან მამას, და ეს ორი სულიერი ორ გვარს ტკივილს აგრძნობინებდა გულში. ადრევაც იცოდა, რომ ედუარდი უბედური იყო, იცოდა, რომ წვალობდა, იტანჯებოდა, მაგრამ ითმენდა. ამალიამ ისიც-კი იცოდა, რომ ედუარდს ბედის-წერა სჯიდა, მაგრამ ამასთან ის არა ჰქონნია გაგებული, რომ იგი ჰნანობდა თავისს საქციელს.

ედუარდის ცრემლმა, ამ ორი წუთის წინად ყველაფერი შეატყობინა ამალიას. იგრძნო, რომ ჩემის მტრის (მეორე ცოლის) ჯავრი ამოყრილი მაქვსო, თუმცა ამას სულაც არ მოელოდდა.

ვ. მაღლაშვილი

დაეტყობოდა ყვავილის კვალი, ან ძლიერ მცირედ, ასე რომ დაჩოფურავებას ამ შემთხვევაშიაც გადაურჩებოდა ხოლმე ავადმყოფი.

ცხადია, თუ როგორ უნდა მოიქცეს ამის შემდეგ ყოველი ქართველი ოჯახი, რომელსაც ყვავილი გაუჩნდება: მუქ-წითელის შალით უნდა დასჩრდილოს ფანჯრები, აგრეთვე კარებები, რომ გაღების დროს სინათლე არ შევიდეს, ღამით წითელი ფარანი დაანთოს ოთახში, მზის და სინათლის უნახავად გახადოს თავისი ავადმყოფი, და იგი მალე და ადვილად მოურჩება. ამასთან ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ თუ მორჩენილს ცოტაოდენად მაინც უდგია კიდევ ტანში ყვავილი და ის ამ დროს სინათლეზედ გამოვიდა, ან მზის შუქი შეუშვეს იმის ოთახში, ყვავილი მაშინვე განახლდება, დაუბრუნდება. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ყვავილიანი თავისს წითელს ხაპყრობილეში იჯდეს მუდმივ, ვიდრე სრულიად არ განიკურნება. ვინც ისე ღარიბია, რომ ორიოდე ფანჯრისათვის წითელის შალის ყიდვა არ შეუძლიან, იმან ავადმყოფი ბნელს ოთახში უნდა ამყოფოს, იქაც მალე და უვნებლად მორჩება, რადგანაც თეთრს სინათლეს, ყვავილის გამაავებელს, მოშორებული იქმნება.

ეს ახალი უებარი ღონისძიება აგერ რამდენიმე თვეა, რაც აუწყეს საექიმო ჟურნალებმა რუსეთის საზოგადოებას. ვიცადე კარგი ხანი, ველოდი, ან ერთი ქართველი ექიმი, ან მეორე და ან მესამე ახარებს და განუმარტავს ქართველ საზოგადოებას-მეთქი, მაგრამ ამაოდ; კრინტი არავინ არ დასძრა,—და ამითი სრული საბუთი მომეცა მახარობლობა და განმარტება მე მეკისრნა.

იაკობ სიმონიძე

## უცხოეთი

**ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘ.** ტიანძინში ხმა გავრცელდა, რომ ჩინეთის ახალგაზდა იმპერატორმა რამდენისამე კაცით საიდუმლოდ დაიარა მთელი ქალაქი, რათა შეეტყო საზოგადოების აზრი. იმპერატორი დიდს ყურადღებას აქცევს სახელმწიფო საქმეებს და ქაღალდებს ხელს არ აწერს, ვიდრე გულ-მოდგინედ არ წაიკითხავს და შესაფერს განმარტებას არ მოსთხოვს მოხელეებს. ლი-ჰუნგ-ჩანგის მტრები თანდათან გათამამდნენ. ამას წინად ტიანძინის ქუჩებში გააკრეს პროკლამაციები, რომლითაც ლი-ჰუნგ-ჩანგს ამტყუნებენ და ბრალსა სდებენ, ყოველ ჩვენის დამარცხების საქმეში ის არის დამნაშავეო. ქუჩებში ბავშვები საოხუნჯო ლექსებსა მღერიან, ლი-ჰუნგ-ჩანგზედ გამოთქმულს. ამბობენ, რომ ჩინეთის ფლოტს საკმარისი იარაღი და ტყვია-წამალი არა აქვს, თუმცა სახელმწიფო თოფხანებში დღე და ღამ გამუდმებული მუშაობაა. ჩინეთის მთავრობა თითონვე აღიარებს, რომ იაპონიის ფლოტი ჰბატონობს შანტუნის ნაპირებსა და პეჩილიის ყურეშიო. იაპონიის ადმირალი კვირაში ერთხელ მოდის ხოლმე და ათვალიერებს ყველა ადგილებს ამ ყურეში ისე დინჯად და თავისუფლად, თითქოს ომი არსად იყოსო. ამას წინად ვეი-ჰეი-ვეის ახლო მივიდა იაპონელთა 8 სამხედრო გემი, გაზომეს ზღვის სიღრმე, იარეს აქ რამდენისამე ხნის განმავლობაში და წავიდნენ ჩრდილოეთისკენ. მეორე დღეს იმავე გემებმა დაათვალიერეს არტურის სადგური: ორის დღის შემდეგ ეს გემები ისევ ვეი-ჰეი-ვეისთან გაჩნდნენ. ჩინელებმა ზარბაზნები დაუშინეს, მაგრამ ვერა დააკლეს-რა; იაპონელთა გემებმა მხოლოდ ერთი ზარბაზანი დასცალეს, კიდევ გაზომეს ზღვის სიღრმე, რამდენსამე ხანს იარეს ნავთ-სადგურთან და შემდეგ ტაკუს წავიდნენ. სჩანს, იაპონელებსა ჰსურთ ჩინელები ზღვაში საბრძოლველად გამოიწვიონ, მაგრამ ამაოდ. არტურის ნავთ-სადგურში დააპატიმრეს ოთხი მზვერავი, რომელთაც ნავთ-სადგურის წინ ზღვაში ჩაყრილ ნაღმების მავთულები დაეჭრათ. მზვერავები ჯერ აწამეს და მერე დაჰხოცეს.

**ᲘᲢᲐᲚᲘᲐ.** რომში დაიბეჭდა წიგნაკი შემდეგის სახელით: „ინგლისისა და იტალიის კავშირი“. ამბობენ, რომ ეს წიგნაკი მთავრობის ნებადართვით არის დაბეჭდილიო.

წიგნაკი ამტკიცებს, ეს კავშირი საჭიროა როგორც ინგლისისთვის, ისე იტალიისათვისაც, თუ ამ უკანასკნელს სახელმწიფოს ჰსურს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს ხმელთა შუა ზღვაზედ; რადგანაც ამ ორსავე სახელმწიფოს ერთგვარი ინტერესები აქვთ ევროპასა, აფრიკასა და აზიაში, ამიტომ საჭიროა ოფიციალურად დამტკიცდეს იმათი დიდის ხნის მეგობრობაო.

**ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ.** 2 ოქტომბერს გობლემ წარმოსთქვა სიტყვა მეჯლისზედ, რომელიც გამართა პირველ ოლქის საარჩევანო კომიტეტმა. გობლე ამტკიცებდა, აუცილებლად საჭიროა ღონისძიება რამ ვიღონოთ მოქალაქეთა თავისუფლების დაცვისათვის მთავრობის უსამართლო საქციელისაგანაო. ორატორმა სთქვა, რომ უკანასკნელ კანონების შემოღება უმთავრესად დიუპუის ბრალია. მაგრამაო, დასძინა ორატორმა, ხასიათი ჩვენის პოლიტიკისა მარტო ეხლანდელ კაბინეტის მეთაურისაგან რომ იყოს დამოკიდებული, ეს კიდევ დიდი უბედურება არ იქმნებოდა, რადგანაც ეს კაბინეტი მალე იქმნება გადაყენებული. იმ გარემოებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რომ კაზიმირ პერიე სარეაქციო პოლიტიკას მისდევს. მე დარწმუნებული ვარ, რომ კაზიმირ პერიეს მიმართულებას წინ აღუდგება მთელი საფრანგეთი; ამას უკვე ამტკიცებს სენის ჟიურის დადგენილება ანარხისტთა საქმის შესახებ, გამართლება ზოგიერთის გაზეთებისა და ნაჟონის არჩევანებიო. დასასრულ გობლემ წაიკითხა წერილი ჟორესი, რომელიც ყველას ურჩევს, საჭიროა თავი მოუყაროთ დემოკრატის წარმომადგენელთ და ვეცადნეთ დავიცვათ თავისუფლება რესპუბლიკისა და შემოვიღოთ საჭირო ცვლილებანიო. „ეს არის საუკეთესო პროგრამმა ჩვენის მოქმედებისა. და ეს პროგრამმა ღირსია, რომ მის განსახორციელებლად თავი მოიყარონ თავისუფლებისა და დემოკრატიის ყველა მომხრეებმაო“.

### ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

პაპა ლეო მე-XIII მექანდაკეს მარასის თავისთვის მეგლი შეუკვეთა. მეგლი თეთრის მარმარილოსი უნდა იყოს. მეგლის თავზედ ლომი უნდა იყოს გამოქანდაკებული, რომელსაც ტოტი ტიარაზედ (პაპის მიტრაზედ) უნდა ედოს. მარჯვნივ სარწმუნოების ქანდაკება უნდა იყოს, რომელსაც მარჯვენა ხელში ლამპარი ეჭიროს, მარცხენაში—საღმრთო წერილი. მარცხნივ ექნება ქანდაკება ჭეშმარიტებისა ლეო მე-XIII ღერბით. ზედ შავის დიდის ასოებით უნდა ეწეროს: „აქ პაპა ლეო მე-XIII ფერფლად გარდაიქცა“.

პარიზში „ქურდების აკადემია“ უპოვნიათ. ამ «აკადემიას» აზრად ჰქონია სერხიანი ქურდობა ასწავლოს ახალგაზდა ქურდებს. პოლიცია იმ დროს დაეცა თავს ამ უცნაურს აკადემიას, როდესაც პროფესორი ქურდებისა თავისს გულმოდგინე მსმენელებს, 14—16 წლის ყმაწვილებს ლექციას უკითხავდა თურმე. პოლიციამ „პატივცემული პროფესორი“ უცნაურ სტუდენტებითურთ საპატიმროში წაასხა.

### ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

თქვენის გაზეთის საშუალობითგულითადს მადლობას ვუცხადებ განსვენებულ ლუკა ისარლოვის მემკვიდრეებსა და ალექსანდრე მერაბაშვილს თავისს ამხანაგებით, რომელთაგანაც პირველთ შემოსწირეს ტფილისის ქართველ-კათოლიკეთა სამრევლო სასწავლებელს ორმოც-დათორმეტი სხვა-და-სხვა ქართული წიგნი და მეორეთ—სამოც-და-ათი აგრეთვე სხვა-და-სხვა ქართული წიგნი.

მასწავლებელი ტფილისის ქართველ-კათოლიკეთა სასწავლებლისა ი. ლაზარეშვილი

### ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

ფილტვების ანთების წამალი. „Journal de medecine“-ის სიტყვით, ანანასი საუკეთესო საშუალებაა ფილტვების ანთებით ავადმყოფისთვის. ანანასი უნდა ნაჭერ-ნაჭერ დასჭრათ, შაქრის ფხვნილი მოაყაროთ, ჩააწყოთ ცივს წყალში და ნელ-ნელა ადუღოთ. შაქარი და წყალი იმდენი უნდა ჰქონდეს, რომ სქელი-კი არა, თხელი წვენი მოდუღდეს. როდესაც მოამზადოთ გააციეთ, და ჩაასხით პატარ-პატარა შუშაში და კარგა მაგრად დაუცეთ. ეს წვენი ავადმყოფს დღეში რვა ჩაის კოვზი დაალევინეთ უავით.

პეტერბურგის ბირჟა, 11 ოქტომბ

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,48 | 7,81 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 149¼ | 150¼ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 238 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 218 |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 189¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — „ | — „ | 101¾ |
| 5% . . . . . . | — „ | — , | 100 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — „ | — „ | 101¾ |
| 5%. . . . . . . | — „ | — „ | 100 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 99 „ | — „ |

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. შ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერა-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

ქ. ქუთაისში
ექიმი ე. მ. ფრენკელი
მიიღებს ავადმყოფთ ყოველდღე დილის 9—12-მდე და განსაკუთრებით ათეშანგით და შარდისა და კანის სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდე.

ადრესი: ტფილისის ქუჩა, მიქელაძის სახლი, № 35.

(3—1779—1)

კბილის ექიმი
**Ვ. Ი. ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ**
(მიხეილის ქუჩა, სახლი კრონზესი, 79)
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—13)

**ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ**
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
**ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ**
ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეიერლისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქვლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

**ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ**
მოთხრობა
**Ე. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ**
გამოცემული
პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ
**ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ**

დაიბეჭდა და ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიაში
**ოსანა მკითხავი**
მოთხრობა
თავ. იასონ ციციშვილისა
ფასი 15 კაპ.

(3—მ.—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . | „ | 20 |